

სკოლა _____ კლასი _____

სახელი _____ გვარი _____

ტელეფონი _____

ამოცანა 1: კურდღლები

კურდღლის ბაჭია დაბადებიდან მეორე თვეს ხდება სრულწლოვანი კურდღელი და მზად არის გამრავლებისთვის.

სრულწლოვანი კურდღლების წყვილი ყოველ თვეში იძლევა ნამატს – დედალ-მამალი ბაჭიების ერთ წყვილს, რომელიც, მეორე თვიდან დაწყებული, იძლევა იგივე ნამატს.

ვთქვათ, ოჯახმა შეიძინა სრულწლოვანი კურდღლების ერთი წყვილი იანვარში. თებერვალში ამ ოჯახს ეყოლება უკვე ორი წყვილი. აქედან ერთი წყვილი მარტში კიდევ ერთ წყვილს მოგვცემს, მეორე წყვილი კი მხოლოდ აპრილიდან დაიწყებს ნამატის მოცემას.

ანუ, მარტში ოჯახს სულ 3 წყვილი ანუ 6 კურდღელი ეყოლება. მათ შორის 2 წყვილი იქნება სრულწლოვანი, ხოლო ერთი კი – არასრულწლოვანი.

კარგად გაიაზრეთ ზემოთ მოცემული ინფორმაცია და შეეცადეთ, უპასუხოთ ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს.

1. რამდენი წყვილი კურდღელი ეყოლება ოჯახს აპრილში (მე-4 თვეში)?

პასუხი _____

2. რამდენი წყვილი კურდღელი ეყოლება ოჯახს მაისში (მე-5 თვეში) და რამდენი წყვილი იქნება მათ შორის სრულწლოვანი?

პასუხი _____

3. რამდენი წყვილი კურდღელი ეყოლება ოჯახს ივლისში (მე-7 თვეში) და რამდენი წყვილი იქნება მათ შორის არასრულწლოვანი?

პასუხი _____

4. რამდენი წყვილი კურდღელი ეყოლება ოჯახს ერთი წლის თავზე, ანუ მომავალი წლის იანვარში?

პასუხი _____

ამოცანა 2: «უცნაური» რიცხვები

ვუნოდოთ “უცნაური” ისეთ რიცხვებს, რომლებიც 33-ჯერ მეტია თავისი ციფრების ჯამზე. იპოვნეთ ყველა “უცნაური” რიცხვის ჯამი (პასუხი დაასაბუთეთ).

ამოცანა 3: ანონები

გვაქვს მარილით სავსე დიდი ტომარა, თევშებიანი სასწორი, 1 გრამიანი გირი და უნონო ცელოფნის პარკები. რა მინიმალური რაოდენობის ანონით შეიძლება მივიღოთ 1 კგ მარილი?

აღწერეთ ანონების პროცესი.

ამოცანა 4: წითელი კუბი

ხის კუბი, რომლის წიბოს სიგრძეა 30 სმ, ყველა მხრიდან შეღებეს წითლად. ამის შემდეგ დახერხეს პატარა ტოლ კუბებად, რომელთა წიბოს სიგრძეა 10 სმ. გაეცით პასუხი შემდეგ შეკითხვებს:

- 1) სულ რამდენი პატარა კუბი მიიღეს დახერხვის შედეგად?
- 2) რამდენ პატარა კუბს ექნება 4 წითელი წახნაგი?
- 3) რამდენ პატარა კუბს ექნება 3 წითელი წახნაგი?
- 4) რამდენ პატარა კუბს ექნება 2 წითელი წახნაგი?
- 5) რამდენ პატარა კუბს ექნება 1 წითელი წახნაგი?
- 6) რამდენ პატარა კუბს ექნება არც ერთი წითელი წახნაგი?

ამოცანა 5: ლუკას დავალება

ლუკას მასწავლებელმა დაავალა, რომ ჩამოწეროს ყველა ისეთი შვიდნიშნა რიცხვი, რომლის ციფრთა ჯამი არის 10. თანაც ამ რიცხვების ჩანერისას არ უნდა გამოიყენოს არც ერთი ციფრი, გარდა ციფრებისა 1, 2 და 3.

სანამ ლუკა დავალებას შეასრულებს, თქვენც გაიაზრეთ მისი დავალება და გაეცით პასუხები ქვემოთ მოცემულ შეკითხვებს:

1. ლუკას ჩამონათვალში უნდა იყოს თუ არა რიცხვი 21131? (პასუხი დაასაბუთეთ)

პასუხი _____

2. ლუკას ჩამონათვალში უნდა იყოს თუ არა რიცხვი 21115? (პასუხი დაასაბუთეთ)

პასუხი _____

3. ლუკას ჩამონათვალში უნდა იყოს თუ არა რიცხვი 1221121? (პასუხი დაასაბუთეთ)

პასუხი _____

4. წარმოიდგინეთ, რომ ყველა ის რიცხვი, რომელიც ლუკამ უნდა ჩამოწეროს, დალაგებულია კლებადობის მიხედვით (ანუ ჯერ ყველაზე დიდი, მერე ცოტა პატარა და ა.შ. სულ ბოლოს ყველაზე პატარა). დაწერეთ ამ ჩამონათვლის პირველი ხუთი რიცხვი.

პასუხი _____

5. წარმოიდგინეთ, რომ ყველა ის რიცხვი, რომელიც ლუკამ უნდა ჩამოწეროს, დალაგებულია ზრდადობის მიხედვით (ანუ ჯერ ყველაზე პატარა, მერე ცოტა დიდი და ა.შ. სულ ბოლოს ყველაზე დიდი). დაწერეთ ამ ჩამონათვლის პირველი ხუთი რიცხვი.

პასუხი _____

6. სულ რამდენი ცალი რიცხვი იქნება ლუკას ჩამონათვალში?

პასუხი _____